საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **2** მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **2** მარტის **№5** სხდომაზე სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევისა და კომისიების შემადგენლობების ფორმირების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიების შემადგენლობები დანართის შესაბამისად;
2. ა) საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდეს პროფ. დავით ჯაფარიძე;

   ბ) სასწავლო პროცესის და სწავლების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. იგორ კვესელავა;

   გ) მეცნიერებისა და ბიზნეს ინოვაციების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. დავით ნოზაძე;

   დ) სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. ნაზიბროლა კუციავა;

   ე) სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – სტუდენტი რატი გურგენიძე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 მარტის №5 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 2 მარტის №5 სხდომაზე სტუ-ის საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის **2016** წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ (პროგრამული კოდი 32 05 02 03) 2014-2015 წლის ასიგნების ფარგლებში სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დაფინანსების თანხების ნაშთები საჭიროებს ასახვას საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით გათვალისწინებულ შემოსულობებში, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, სულ 7 786 141 ლარი. მათ შორის:

1.1. 2013 წლის 30 დეკემბრის №01/162-89 ხელშეკრულებით კვების მრეწველობის ინსტიტუტის შენობის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 348 896 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში, ხოლო 14 920 ლარი – „ვალდებულებების კლების“ მუხლში;

1.2. 2013 წლის 30 დეკემბრის №01/162-90 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტისათვის ლაბორატორიული დანადგარების, სასწავლო და საოფისე ინვენტარის შესყიდვისათვის გათვალისწინებული თანხიდან მიღებული ეკონომია 74 119 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

1.3. 2014 წლის 17 დეკემბრის №01/162-452 ხელშეკრულებით ქ. თბილისში გ. ფერაძის ქ. №4-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან

ნაშთი 1 696 048 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.4. 2015 წლის 7 აგვისტოს №01/162-32 ხელშეკრულებით ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 2 443 748 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.5. 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-147 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 698 220 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

1.6. 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-148 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IX კორპუსის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 1 246 010 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.7. 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-149 ხელშეკრულებით ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის №36-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 1 264 180 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

სულ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით“ გასათვალისწინებელი 7 786 141 ლარი აისახოს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში, საიდანაც „არასაცხოვრებელი შენობების“ პუქნტში გაიწეროს 6 998 882 ლარი, „სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში – 772 339 ლარი, ხოლო 14 920 ლარი – „ვალდებულებები კლების“ მუხლში.

2. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთის გუნდს ფედერაციიდან ჩაერიცხა 10 000 ლარი, ხელბურთის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც აისახოს, როგორც შემოსულობებში, ისე გადასახდელებში „ხელბურთის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით;

3. სამეცნიერო პროექტი „ბენიტური თუჯი და მისი გამოყენების შესაძლებლობები“(ხელმძღვანელი ვასილ კოპალეიშვილი) დაფინანსდეს 10 000 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთი ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული

დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“ პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

4. შიგასაუნივერსიტეტო სამეცნიერო პროექტისთვის – „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ელექტრო ენერგიაზე ხარჯების ეკონომიის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავება და დანერგვა“ (ხელმძღვანელი დავით ჯაფარიძე) – 2015 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსებიდან ტენდერის შედეგად განხორციელებული შესყიდვების ეკონომიამ შეადგინა 8 000 ლარი. პროექტის საბოლოო ანგარიშის წარდგენა იგეგმება 2016 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“ პუნქტიდან 8 000 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

5. პროექტ „ერთზე მეტი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე გამათბობლის საცდელი მაკეტის შექმნის“ (ხელმძღვანელი ა. გერასიმოვი) შესახებ საკითხი გადაეცეს სტუ-ის წარმომდგენლობითი საბჭოს მეცნიერებისა და ბიზნესინოვაციების საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას შესასწავლად და დასკვნის წარმოსადგენად.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 2 მარტის №5 სხდომაზე სტუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა, პროფ. დავით ჩიქოვანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის N36-ში მდებარე შენობის ჩამოწერისა და სტუ-ის შემადგენლობაში შემავალი გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის №36-ში (საკადასტრო კოდი N01.17.09.064.060) მდებარე შენობის ჩამოწერის შესახებ, შემდგომი დემონტაჟის მიზნით და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 მარტის №5 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 2 მარტის №5 სხდომაზე სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გიორგი ქვარცხავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **2** მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **2** მარტის **№5** სხდომაზე სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 2 მარტის **№5** სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება **№1897**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულება;
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობა წარმოდგენილი სახით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 2 მარტის №5 სხდომაზე პროფ. დავით კაპანაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საგამოცდო ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 დეკემბრის დადგენილება **№1848.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისათვის საგამოცდო პროცესში მონაწილე თანამშრომლებს შრომითი ანაზღაურება მიეცეთ საათობრივად, უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად, შემდეგი ნიხრით:
   - უფროსი მეთვალყურე – 4,10 ლარი/საათში;
   - მეთვალყურე – 3,50 ლარი/საათში.
2. საგამოცდო პროცესების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრს შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების კომპიუტერული ფორმით ჩასატარებლად თითოეულ საგანში აკადემიურ ჯგუფზე სემესტრში გამოეყოს დატვირთვა 12 (თორმეტი) აკადემიური საათის ოდენობით;
3. განისაზღვროს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების საშუალო წლიური საათობრივი დატვირთვის ოდენობა ფაკულტეტების მიხედვით და ფაკულტეტების ბიუჯეტში გასათვალისწინებელი შესაბამისი თანხები ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველსაყოფად;
4. ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით სტუ-ის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებს შრომითი ანაზღაურება მიეცეთ 2016 წლიდან;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი სტუ-ის კომპიუტერულ ცენტრთან ერთად ჩართულ იქნეს სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის გასაწევი მომსახურების უზრუნველყოფაში და იმ თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ტიპის საქმიანობაში, მიღებული შემოსავლებიდან მიეცეთ შრომითი ანაზღაურება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად;
6. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრმა (დავით კაპანაძე) უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებით ანგარიშგება-აღრიცხვის დეპარტამენტში ინფორმაციის დადგენილი პერიოდულობით წარდგენა საგამოცდო პროცესებში მონაწილე პერსონალის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№8**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 2 მარტის **№5** სხდომაზე პროფ. ზურაბ წვერაიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელ კანდიდატთათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის დადგენილება **№1883.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორ ვაჟა დიდმანიძეს და სარგოს რაოდენობა განისაზღვროს ხელფასის 80%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **2** მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№9**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **2** მარტის **№5** სხდომაზე პროფ. ოთარ გელაშვილმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელ კანდიდატთათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 22 თებერვლის დადგენილება **№1926**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორ ბორის ბოქოლიშვილს და როგორც გ. ნიკოლაძის მედლის მფლობელს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს ხელფასის 100%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **2** მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **2** მარტის **№5** სხდომაზე პროფ. ედიშერ კვესიტაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის დეპარტამენტთან საგანმანათლებლო-სამეცნიერო ბიოსამედიცინო ცენტრ „ბიომედის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს **2016** წლის **22** თებერვლის დადგენილება **№1921**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ბიოსამედიცინო ცენტრი „ბიომედი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **2** მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **2** მარტის **№5** სხდომაზე პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტ გიორგი ჩევიქის სწავლის საფასურის გადასახადთან დაკავშირებით. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 22 თებერვლის დადგენილება **№1928**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის I კურსის №108554 ჯგუფის სტუდენტი გიორგი ფათიჰის ძე ჩევიქი გათავისუფლდეს სწავლის საფასურის გადასახადისაგან სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 2 მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 2 მარტის **№5** სხდომაზე სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გიორგი ქვარცხავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტ სოფიკო მახატლიშვილისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დაკმაყოფილდეს სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობა და აღნიშნული ფაკულტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტ სოფიკო მახატლიშვილს დაენიშნოს სტიპენდია 5 თვის ვადით 150 ლარის ოდენობით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **2** მარტის **№5** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **2** მარტის **№5** სხდომაზე სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის, პროფ. ვაჟა პაპასკირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად უფლებამოსილების ცნობის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს **2016** წლის **24** თებერვლის დადგენილება **№1932**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: ცნობილ იქნეს სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის, პროფ. ვაჟა პაპასკირის უფლებამოსილება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე